საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5814
03/10/2022

5814-21-2-202210031438

შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ დირექტორს
ბატონ გიორგი ლეჟავას
მის: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. N 3-2
ელ. ფოსტა: ni.lezhava@gmail.com

ბატონო გიორგი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 22 სექტემბერს წარმოდგენილი N5036 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის” ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ძირითადი გაფრქვევის მილი საწარმოო ტერიტორიიდან დაშორებულია 600 მეტრი მანძილით, ამდენად ის 500 მეტრიან ზონაში არ ხვდება. ასევე 500 მეტრიან ზონაში არ ხვდება გაფრქვევის ის წყაროები, რომლებიდანაც გაიფრქვევა არაორგანული მტვერი (არაორგანული მტვრის შემცვლელი ნედლეულის მიღება და გადამუშავება)”. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით (რაც ასევე გეცნობათ სააგენტოს N21/4733 წერილით) დადგინდა, რომ შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოდან შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საწარმოს უახლოესი გაფრქვევის წყარო მდებარეობს საწარმოს ჩრდილო-დასავლეთით - 02.07.02.599 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (420 მ). თუმცა თქვენ მიერ დამატებით წარმოდგენილი სიტუაციურ ნახაზზე მონიშნულია შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოს დასავლეთით არსებული - 02.07.02.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული გაფრქვევის წყარო, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/გათვალისწინებას. ამასთან გაცნობებთ, რომ მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით 02.07.02.599 და 02.07.02.035 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

საწარმოების ტერიტორიაზე არსებული არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროები ასევე ხვდება საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში, შესაბამისად აღნიშნული არაორგანიზებული და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (420მ) საწარმოს გაფრქვევები ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიშში ფონურ მაჩვენებლებად. ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა, აღნიშნული საწარმოების გაფრქვევის წყაროების ჩვენებით და კოორდინატების მითითებით;

- ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე თითოეული დანადგარის ხმაურის დონის შესახებ ინფორმაცია და საწარმოს გეგმა ხმაურის წყაროების დატანით;
- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოს ინსპექტირების შედეგად 2021 წლის 18 თებერვალს შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ N058961 და N002332 ოქმები, აღნიშნულის გათვალისწინებით 2019 წლის 15 ივლისის N2-663 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით განსაზღვრულ იქნა გონივრული ვადები. თუმცა გონივრული ვადების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თითოეული ვალდებულების მითითებით) ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- წიდის არასახიფათოობის დადგენის მიზნით წარმოდგენილია ლაბორატორიული ანალიზის შედეგები, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ლაბორატორიის შესახებ რომელმაც ჩაატარა საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენის - წიდის შემადგენლობაზე ანალიზი და ლაბორატორიის შესაბამისი დასკვნა.

ასევე კორექტირებას საჭიროებს ცხრილი 1 (საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა) და ცხრილი 2 (გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა), სადაც მოცემულია ძალადაკარგული კანონები/კანონქვემდებარე აქტები.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო